საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 292 1918 წ. კვირა ივლისის 28 № 292

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

კავკავის მთავრობამ საქართველოს ულტიმატუმი დააკმაყოფილა. [illegible] შეერთებამ ბაქოს [illegible] [illegible] შემახა დასტოვეს ერ. ხანჯომ მიიღო კანონ-პროექტი სპეკულიაციასა და კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველად საგანგებო რაზმის დაარსებისა დასავლეთის ფრონტზე მძვარი ბრძოლა გრძელდება.

საქ. ერ. საბჭოს პრეზიდიუმი ამით აუწყებს საბჭოს წევრთ, რომ კვირას ივლისის 28-ს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ვერაგულად მოკლულის საბჭოს წევრის

**ვლადიმერ გოგეჩიას**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე. 1251

დ. ბაღდადში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა

**პანტელეიმონ საბას ძე კვირიკაძე**

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მისი ბიძაშვილი თედო ამბაკოს ძე კვირიკაძე. დაკრძალვა ივლისის 30-ს.

ღრმად დამწუხრებული გიორგი დიმიტრის ძე დაფქვიაშვილი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა ცოლის დის ძვირფასი

**ნადეჟდა ლაზარეს ასული მურუსიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, ივლისის 28-ს დილით 9 საათზე, წირვა და პანაშვიდი იქნება კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე. 792

ღრმად დამწუხრებულნი მამა დეკანოზი ლაზარე ალექსის ძე ტურიაშვილი ძმები კონსტანტინე და ნიკოლოზი, და და ალექსანდრა, ქმარი იაკინთე ალექსის ძე მურუსიძე და შვილი გოგი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებასა, შემდეგ დიდის ხნის ავადმყოფობისა, ამა ივლისის 23-ს, უსაყვარლესის და დაუვიწყარის

**ნადეჟდა ლაზარეს ასული ტურიაშვილი-მურუსიძისას**

გამოსვენება, საკუთარ სახლიდან, მოხდება დღეს, კვირას ივლისის 28-ს დილის ცხრა საათზე, (ახალი დროით), კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში, სადაც გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი და მისი დასაფლავება 12 საათზე.

მეორე ქართული მსროლელთა დივიზიონის „ობოზის" ოფიცრები და ჯარისკაცები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ივლისის 25-ს არამიანცის საავადმყოფოში გარდაიცვალა იმავე დივიზიონის „ვოლნოოპრედელიაიუშჩი"

**მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანი**

მიცვალებულს საავადმყოფოდან გამოასვენებენ დღეს, ივლისის 28-ს, დილის 10 საათზე. დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 796

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სოციალ-რევოლუციონერთა ფრაქცია და საოლქო კომიტეტი აუწყებს ნაცნობ-მეგობართ, რომ კვირას, ივლისის 28-ს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ვერაგულად მოკლულის

**ვლადიმერ გოგეჩიას**

სულის მოსახსენებლად, პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე. 1255

დ. ბაღდადში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა

**პანტელეიმონ საბას ძე კვირიკაძე**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედა ფატულო სპირიდონის ასული, მამა მღვდელი საბა დავითის ძე დები მარიამ და ოლღა, ძმები პარმენ, პლატონ, ამბროსი, ლასი, ბენია და გური კვირიკაძეები. დაკრძალვა ივლისის 30-ს.

**საციხო ინსპექცია** იწვევს პირებს, რომელთაც ჰსურთ მთავარი ციხის უფროსის თანამდებობის მიღება, განაცხადონ ამის შესახებ ინსპექციაში (განოვის ქ. № 11). ამ თანამდებობის მსურველი უნდა იყოს საშუალო განათლების (სასურველია უმაღლესი იურიდიული განათლების) სამხედრო სამსახურში ნამყოფი პოდპოლკოვნიკი ან კაპიტანი, რომელსაც პოდპოლკოვნიკობა დამსახურებული აქვს; საჭიროა ენერგიული და მშრომელი პირი, რომელსაც უნარი და სურვილი აქვს საპყრობილეთა საქმის შესწავლისა. სახელმწიფო—ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა. სასურველია აგრეთვე, რომ ერთი უცხო ენაც იცოდეს.

**პირობები:** ბინა გათბობით და განათებით, ეტლი და კარგი გასამრჯელო. 795



**დიდი ცირკი**

**ძმ. ეფიმოვებისა**

მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

**1918 წ. დღეს, ივლისის 28-ს გაიმართება**

**დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა**

მონაწილეობენ სლასტუშინსკი, ვუდი და მაი, ძმ. რიგო და სხვ. გაბრიელ ოვარი შეასრულებს „4 ეშმაკს".

დასაწყისი 8 ს. გამგე პ. ელიზაროვი. 794

მეღვინეთა ამხანაგობა „იმერეთი"

# იმერული ღვინო

გაიხსნა ღვინის სავაჭრო სარდაფი

„იმერეთი"

მეღვინეთა ამხანაგობის

**მიხეილის პროსპ. № 39 (მთავარი ფოსტის კანტორის ახლოს).**

ამხანაგობა მიაწოდებს საზოგადოებას საუკეთესო იმერულ ღვინოს ამ დღეებში გაიხსნება აგრეთვე განყოფილებები, სხვა და სხვა უბანში, რაც გამოცხადდება თავის დროზე.

**ფასები:** № 2—3 მან., № 3—3 მან. 50 კაპ., № 4—4 მან., № 5—5 მან., № 6—6 მან.

765 მთავარი საწყობი ამხანაგობას აქვს ქ. ზესტაფონში.

„იმერეთი" ამხანაგობა მეღვინეთა

**მეორე ქართული კლუბი**

(ახალი საკრებულო)

მიხეილის პრო. პექტი № 129.

## გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა

**ფრიად საინტერესო პროგრამით.**

სამხედრო მუსიკა, საზანდარი, ლეკური, უზუნდარა, ევროპიული ცეკვა. **სინემატოგრაფი, ქართული წარმოდგენა.** პტიშვო, ტუმბა და სხვა და სხვა სათამაშოები და გასართობები, როგორც მოზრდილთათვის, ისე ბავშვებისთვის.

10 პროცენტი წმინდა შემოსავლისა გადაიდება ქართული უნივერსიტეტისათვის. დასაწყისი საღამოს 5 ს. ახალი დროით. 1246

**ვერის საქალაქო ბაღი** (პარკი)

(სატიოზედ, მტკვრის პირას ბორანთან)

კვირას, 1918 წ. მკათათვის, 28 **„ქართველ მომღერალთა გუნდი"**

**მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით მართავს

## დიდ სახალხო ქართულ სეირნობა-კონცერტს

(რომლის წმინდა შემოსავლის 25 პროც. გადაიდება მე-4 რაიონის წითელ გვარდიის სასარგებლოდ). სეირნობა-კონცერტი იქნება მოწყობილი **როგორც ბავშვებისათვის**, ისე **მოზრდილთათვის** სხვა და სხვა გასართობებით; საბავშო სიმღერებით, ცეკვა-თამაშით, გლეხურად გამოწყობილი გუნდი შეასრულებს სოფლის ცხოვრებიდან ხალხურ სიმღერებს: **სუფრით და ლხინით. მესტვირე, ფანდური, თარი, დუდუკ და სხვა. დაწვრილებით აფიშებში.**

სეირნობის მომწყობი—გამგე **ნიკო კავსაძე** დასაწყისი სრულ 5 საათზედ ბილეთები სახალხოა. ბაღი განათებული იქნება შუაღამემდის. 1945

**იყიდება** **რესტორანი, რომელიც ბაღში იმყოფება.** ბაღშივე არის მუდმივი თეატრი—მინიატიური. მიხეილის პრ. №193. 783

**ვასწავლი** ქართულ სიმღერა-გალობას როგორც ვაჟებს, ისევე ქალებსაც მიღება და ჩაწერვა ალ. მაისურაძესთან. სწავლა და მიღება გუნდში დაიწყება 10 აგვისტოდან ყოველ ორშაბათ-პარასკეობით საღ. 5—7 საათ. მამადავითის ქუჩა № 25, სამოქალაქო სკოლაში. გამგე გუნდისა მ. ქავთარაძე. 793

ტფილისი, ივლისის 28

**მთავრობა და სოფელი.**

მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებათა, რომელიც ელობება წინ ჩვენს ნორჩს სახელმწიფოს — საქართველო თანდათან ემსგავსება სახელმწიფოს და საამისო გაცხარებული მუშაობაც სწარმოებს. საკმარისია დასახელება თუნდ იმ კანონ-პროექტებისა ამ მოკლე ხანში რომ დაადასტურა ეროვნულმა საბჭომ აშკარად უნდა ითქვას, რომ ამ მხრით ჩვენი ქვეყანა ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე იყო ამ ორი თვის წინად ამიერ-კავკასიის მთავრობა რომ არსებობდა. ეხლა გარკვეული გზა მაინც არსებობს, გეზი მაინცა გვაქვს საერთო პოლიტიკისა. მაშინ კი ვითომ სხვებს ვუვლიდით, დიდს ვეპოტინებოდით და პატარაც უყურადღებოდ გვრჩებოდა, ეხლა ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნის და უფრო თავისუფლად შეგვიძლიან მუშაობა.

ყველა ჩვენთაგანს პირზე ორი სიტყვა აკერია: რესპუბლიკის განმტკიცება. მართლაც გართულებულ პირობებს თუ მივიღებთ მხედველობაში, მთავრობას ვერაფერს ვუსაყვედურებთ. იგი მართლაც ბევრს მუშაობს მაგრამ ჩვენი ტრაგიზმი სწორედ ის გახლავთ, რომ სწორედ ზემოხსენებული გართულებული პირობები მოითხოვს უფრო მეტს ენერგიას, არაჩვეულებრივ ძალთა მობილიზაციას. ცხოვრება მეტს მოითხოვს, ვიდრე ჩვენ შეგვიძლიან. ამიტომ არის საჭირო ყველა ცოცხალ ძალთა გაერთიანება და სახელმწიფოებრივი მუშაობის გაძლიერება. მაგრამ უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს მაინც ადმინისტრატიულ აპარატის მოწყობას. ჩვენი სოფელი სრულიად თავის ანაბარად არის მიტოვებული. შეიძლება ითქვას, არავითარი კავშირი მასა და ცენტრს შორის არ არსებობს. არა იციან რა მთავრობის სხვა და სხვა განკარგულებისა და ბევრჯერ მათი ბრალი არაა, თუ ვერ ასრულებენ, არამც თუ მიყრუებულ კუთხეებში, არამედ ტფილისის მაზრის სოფლებშიაც კი არ იციან, მაგალითად, რომ დღეს მობილიზაციაა გამოცხადებული. ხალხის სულიერი განწყობილება ეხლა ისეთია, რომ იგი უარს არ იტყვის სახელმწიფოებრივ მოვალეობაზე. საჭიროა მხოლოდ მას ვუჩვენოთ, რომ არსებობს მთავრობა, მისთვის და საერთო ცხოვრებისთვის მზრუნველი ორგანო. თორემ დღეს ყოველი გამვლელ-გამომვლელი მიდის გლეხთან და ამა თუ იმ მოთხოვნილების შესრულებას სთხოვს. დროა შევაჩვიოთ ხალხი, რომ იგი უნდა დაემორჩილოს მთავრობის ყველა განკარგულებას. მთავრობას ნამდვილი წარმომადგენელნი უნდა ჰყავდეს სოფლად და მისი პირით გადასცემდეს ყველაფერს. თორემ ყოვლად აუტანელი მდგომარეობაა დღეს და თუ ასე გაგრძელდა შეუძლებელიც გაჰხდება რისამე გაკეთება. დამახასიათებელია აგრეთვე ის სიტყვები, ამას წინად ერთ-ერთ სოფელში რომ სთქვეს გლეხებმა კრებაზე: ის რა მთავრობაა, რომლისაც არ გვეშინია, რად ავასრულებთ მის განკარგულებასო. ასეთია ფსიქოლოგია მასსისა. ამიტომ იგი ყოველთვის უნდა გრძნობდეს, რომ მას ელაპარაკება მთავრობა და მორჩილადაც უნდა ასრულებდეს ამ რევოლიუციონურ ორგანოს განკარგულებას, ვიმეორებთ, სოფელს მიხედვა უნდა, იგი მოილოდა, მოიქანცა ამდენი არევ-დარევით და წესიერებასაა მოწყურებული, ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობის მორიგ საკითხთაგანი სწორედ სოფელთან კავშირის გაბმაა მტკიცე ადმინისტრაციის საშუალებით. მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო ყოველგვარ გაუგებრობას და ანარქიას.

## თავისუფალ საქართველოში

მესამე თვე იწყება ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. არის მოვლენა, არის საგანი, რომელსაც სიტყვას ვერ შეჰკადრებ, განსაკუთრებით როდესაც მის ახლო იმყოფები, და შეგიძლია მხოლოდ ქუდი მოიხადო მისი სიდიადის წინაშე, მიაპყრა თვალები მოწიწებით და წმინდა დუმილში ჰპოვო კმაყოფილება...

ასეთია ქართველი ერისთვის ამა წლის მაისის 28! ჩვენი მოდგმის ათას წელთა მრავალფეროვან თავგადასავალს შეიძლება მეორე არ ახსოვს მსგავსი შესანიშნავი დღე ამნაირი მოულოდნელის აღდგომისა, და თამამად ვიტყვით, რომ ქვეყანად არ მოიპოვება ძალა, რომელსაც შეეძლოს 26 მაისის აქტის გაქარწყლება და წაშლა. როგორც უნდა დატრიალდეს ამიერიდან ჩვენი ბედი, როგორც უნდა შეცვალოს მსოფლიო ცხოვრების მსვლელობამ აწინდელი ძალთა განწყობილება და დამოკიდებულობა, სამარადისო დარჩება ჩვენი ერის სულიერი აღორძინებისათვის რაც მოხდა ორი თვის წინად.

ეს ამბავი იმდენად დიდია, ვიმეორებთ, რომ დღევანდელებს არ ძალგვიძს კიდევ სავსებით შევაფასოთ მისი გავლენა. მისი სიფართოვე სიღრმე და მნიშვნელობა ისე გადამეტებულად ავსებს ჩვენს არსებას რომელიც სრულებით საამისოდ არ იყო განმზადებული, რომ მისი სიტკბოების განცდაც კი გვიჭირს ამ ჟამად. ხანდახან თითქოს რაღაც ბურუსში ვართ და იმის ანგარიშს კი არ ვაძლევთ ჩვენს თავს: ნუ თუ ყველაფერი ეს მართალია, ცხადი და არა სიზმარი და ოცნება?

თავისუფალი საქართველო, ქართველი ერი თავის თავს ეკუთვნის, თვით არის თავის ცხოვრების გამომჭედელი! ეს მთა, ეს ველი, ეს ქალაქი, სოფელი, მდინარე, სახლი, დაწესებულება ქართველ ხალხისაა, ყველგან მისი სული ტრიალებს და აღარ ესაჭიროება ყოველი ფეხის გადადგმისათვის სხვისი, გარეშეს ნებართვა! ეს გრძნობა სიცოცხლისა, საკუთარის არსებობისა, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შეგუებია ჩვენი სხეული, განა უდიდესი ბედნიერება არაა? ჩვენ ვართ, და არა თუ ვართ, ვიყავით, ვიქნებით — ეს გამთლება დაშლილის ეროვნულის ორგანიზმისა, აღდგომა, შობა ერისა, რომელიც მაისის 26-მდის მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ პოტენციალურად არსებობდა და მოკლებული იყო სინამდვილეს...

მაგრამ სჯობს დავჩუმდეთ და ამხანად მარტო დუმილით შევეგებოთ ჩვენი ცხოვრების უდიდეს მოვლენას. ჩვენი სიტყვა ვერ ამოწურავს ამ აქტის სავსებას, ჩვენს გრძნობებს ჯერ კიდევ ვერ უპოვიათ კალაპოტი, ენას არ აქვს შესაფერი გამოთქმა! მთელი ჩვენი ძალა, ენერგია და გონიერება მოვანდომოთ მუშაობას ახალი ცხოვრების მოსაწყობად. დღეს მარტო ამისათვის ვიფიქროთ და რაც კი მოგვეპოვება, ამას შევსწიროთ უყოყმანოდ, დაუზარებლად, ყველამ განურჩევლად მიმართულებისა და მდგომარეობისა.

მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე დაგვაკისრა ისტორიამ—შექმნა სახელმწიფოსი. არც ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოწყობა არ მოითხოვს იმდენს შემოქმედებას გამჭრიახობას, უნარს, გამოცდილებას, როგორც სახელმწიფოსი, რომელიც ყოველის საზოგადოების ურთულესია. უნდა გამოვტყდეთ და გულახდილად ვსთქვათ, რომ ჩვენ სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გამოცდილება სრულებით არ გაგვაჩნია. ას ოცი წელია დამოუკიდებლობა დავკარგეთ და რუსეთის თვითმპყრობელობის დროს ხომ ვერავითარ სახელმწიფოებრივ ცოდნას ვერ შევიძენდით, ისიც უეჭველია, რომ 17—18 საუკუნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიციები, რამდენად ამის ნაშთები კიდევ შეგვრჩენია, ვერავითარს დახმარებას გაგვიწევს ამ შემთხვევაში, ვინაიდან მაშინდელი მარტივი სახელმწიფო მეტად განსხვავდება ეხლანდელ გართულებულ ურთიერთობისაგან.

ძალზე გაგვიჭირდება სახელმწიფოს მართვა, ორგანიზაცია ახალის წყობილებისა, მით უფრო რომ დღეს მსოფლიო ომია, რომელმაც მთელი კაცობრიობის ნერვები დაწყვეტამდე დაჭიმა და არა ერთსა და ორს გამობრძმედილს პოლიტიკოსს მოსტეხა კისერი, და საქართველოს სახელმწიფოს მაშინ ვამკვიდრებთ, როცა მისი ტერიტორიის ყოველ მტკაველ მიწას კბილებით ვიცავთ. ბევრი შეცდომა მოგვივა, ბევრს სიმწარეს ვიგემებთ და ბევრჯელ განსაცდელში ჩავარდებით, ვიდრე სახელმწიფოებრივ მუშაობას შევეჩვევოდეთ და ჩვენს რესპუბლიკას სასურველს მიმართულებას მივცემდეთ. ხოლო ერთი დაუფასებელი ღირსება აქვს ჩვენს ეხლანდელ მდგომარეობას: რაც კეთდება დღეს, კეთდება ჩვენის საკუთარის ნებით, ჩვენის ჭკუით, ჩვენი აზრი მუშაობს ყველგან, ჩვენი მკლავია ცხოვრების გამმართველი და თუ დღეს შევცდებით, ხვალ მაინც ვისწავლით და შევძლებთ სასიქადულო დამოუკიდებელ მოღვაწეობას, ეს კი ერთად ერთი თავდებია ჩვენი ხალხის სრულის გაბედნიერებისა, მისი ქონებრივი და კულტურული წარმატებისა.

**სამ. ფირცხალავა.**

## მთავრობაში

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის კომისარმა დაუგზავნა სასწრაფო შემდეგი ცირკულიარი მთელ საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებს:

„შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების თანახმად ამა წლის აგვისტოს 1-დან საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები მოვალენი არიან მიიღონ და გაჰგზავნონ დეპეშები და ყოველგვარი კორესპონდენცია ქართულ ენაზე. საგანგებო განკარგულებამდე დროებით ქართულთან ერთად შეიძლება დეპეშის და წერილების გაგზავნა რუსულადაც რუსული მისამართებით მხოლოდ ტფილისსა, ბორჩალოს მაზრასა, სოხუმის და ზაქათალის ოლქის საფოსტო განყოფილებებში. საქართველოს რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში დეპეშები მიიღება მხოლოდ ქართულად დაწერილი და კორესპონდენცია მხოლოდ ქართული მიმართულებით. ამასთანავე კომისარი წინადადებას იძლევა სულ მოკლე ხანში შეისწავლონ ქართული ანბანი დეპეშებისთვის, რომელიც უკვე შედგენილია, რათა პირველ აგვისტოდან მხოლოდ ის იხმარებოდეს“.

ეროვნულმა საბჭომ ივლისის 26-ის სხდომაზე მიიღო კანონპროექტი, რომლის ძალითაც არსდება საგანგებო რაზმი სპეკულიაციასა და კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველად.

**სახურსათო სამინისტრომ** ხელშეკრულობა დასდო ადერბეიჯანელ ზოგიერთ პურის მქონე პირებთან პურის შაქარსა, ჩაისა და სხვ. საგნებში გაცვლის შესახებ. გაცვლა მოხდება ახლო მომავალში. პური პირველად გაეგზავნება გურიას და სხვა დამშეულ ადგილებს.

## უკანასკნელი ცნობები.

**სამხერი.**

**სამხერე** 7—25. რაზმის უფროსი იმედი დეპეშით ატყობინებს სამხედრო მინისტრს: დღეს ნაშუადღევის 4 საათზე ... საათის ბრძოლის შემდეგ ...ოსებთან, ...ი რაზმის ნაწილმა სოფელი პერევი ...ო.

**ლეჩხუმი**

**ქუთაისი.** 7—25 გენერალი სუმბათაშვილი დეპეშით ატყობინებს სამხედრო მინისტრს: ოსეთის სამხედრო გზაზე გუშინ ღამით იერიში მივიტანეთ და ...ილეთ სოფლები: ნამახვანი, ვისათი, ...სოფლის—სერი და კანარის—სერი. ...ენ მოგვიკლეს ერთი ჯარისკაცი და ...გვიჭრეს 3.

**ბაღდადის ფრონტი**

იგივე სუმბათაშვილი იტყობინება: ბაღდადის ფრონტზე ცხარე ბრძოლის შემდეგ ბოლშევიკები დავამარცხეთ. მეთაურები შევიპყრეთ. ტყვეობიდან განვათავისუფლეთ 3 ჩვენი ოფიცერი და 2 ჯარისკაცი, ჩამოვართვით 300 ვინტოვკა და 8000 ტყვია. სოფ. უხუთში ჯარში წაიყვანეს 140 ახალგაზრდა. სხვა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

**საქართველოს სამხედრო გზაზე.**

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი გვატყობინებს: ჩვენმა დელეგატებმა ულტიმატუმი წარუდგინეს თერგის მთავრობას. ულტიმატუმს ნ. ჟორდანია აწერს ხელს. მთავარი პუნქტები ამ ულტიმატუმისა შემდეგია: 1. დაუყონებლივ უნდა იქნას დაბრუნებული ტყვეები, 2. უნდა ანაზღაურებულ იქმნას ზარალი, რომელიც აჯანყებულებმა მოაყენეს, და დაბრუნებულ იქმნას ნაძარცვი ქონება. ულტიმატუმის ვადა ივლისის 25-ს გავიდა, შუადღის 12 საათზე, ჩვენი ჯარი მზად იყო, წარდგენილი ულტიმატუმი დაეცვა მაგრამ ვადის გასვლამდე თერგის მთავრობამ სრული თანხმობა განაცხადა. ნაშუადღევის 2 საათზე კავკასიიდან გამოგზავნეს ტყვეები- კომისიაც უკვე გაემგზავრა ზარალის გამოსარკვევად. ჩვენი მხრით კომისიაში შევლენ გზათა მინისტრი ლორთქიფანიძე და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი მა...ძე.

ჩვენი ჯარი ლარსს იქით არის დაბანაკებული. თავში დიდი მღელვარება გამოიწვია ჩვენი ჯარის წინსვლამ ინგუშებში, რომელნიც საბჭოს მთავრობას უჭერენ მხარს და ებრძვიან ყაზახებს.

**ბაქოს მიმართულებით**

მოსკოვი. 7—26 ბაქოს მიმართულებით ჩვენმა (ესე იგი ბოლშევიკების) ჯარმა ივლისის 20-ს დასტოვა ქალაქი შემახა.

## ეროვნული საბჭო

**ივლისის 26 სხდომა.**

სხდომა იხსნება დღის პირველ საათზე ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით.

დღიურ წესრიგის მოსმენის შემდეგ ეროვნული საბჭო იღებს ცნობად ფხარ-...

ჯგუფი ამიერიდან იწოდება დამოუკიდებელთა პოლიტიკურ კავშირად და გადადის მორიგ საკითხია გარჩევაზე.

პირველი ასეთი საკითხთაგანია გამმიჯნელ დაწესებულებათა გაუქმება. მომხსენებელია რ. ივანიცკი, რომელიც ჯერ იხსენიებს ამ დაწესებულებათა წარმოშობის ისტორიას, შემდეგ აღნიშნავს, რომ რევოლიუციის მერე მათ არსებობის აზრი დაეკარგათ და ამბობს:

1917 წლის დეკემბრის 16-ის და მიმდინარე წლის მარტის 7-ის თარიღებით გამოცემულ მიწის დეკრეტების გამოცემის შემდგომ გამმიჯნელ დაწესებულებათა ფუნქციები ფაქტიურად შეჩერდა და ამიტომ ზოგიერთი მათგანი დაექვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მიწის დეკრეტების გამოქვეყნებით მზრუნველობა და თადარიგის დაჭერა მიწის გამიჯვნისათვის ეკისრება უკვე საადგილმამულო კომიტეტებს. ამ რიგად წარმოსდგა საკითხი იმ დაწესებულებათა გაუქმებისა, რომელნიც ფაქტიურად კარგა ხანია არ მოქმედებენ, ხოლო მათი შენახვა ჩვენს ხაზინას საგრძნობ ტვირთად აწვება.

იურიდიულმა კომისიამ, რომლის სახელით მე აქ ვლაპარაკობ, ერთხმად დაადგინა ეს გამმიჯვნელი განყოფილება, რომელიც წინად ყოფილ მეფის ნაცვლის კანცელარიასთან არსებობდა, ხოლო ბოლო დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს განმგებლობაში იყო, გადაეცეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს, როგორც ყველა სხვა გამმიჯვნელი დაწესებულება. ტფილისში არსებული მიწისმზომელთა სასწავლებელი კი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს განმგებლობაში იყო, რაკი გამოირკვა ტენდენცია ყოველგვარი საპროფესიო განათლების გამავრცელებელი სასწავლებელი იყოს სახალხო განათლების სამინისტროს განმგებლობაში, იურიდიული კომისიის დასკვნით უნდა გადაეცეს სახალხო განათლების სამინისტროს. ამ დაწესებულებებთან ერთად სათანადო სამინისტროებს უნდა გადაეცეს მთელი ინვენტარი და ხაზინაში გახსნილი კრედიტები.

მორიგი საკითხია კანონპროექტი განსაკუთრებულ რაზმის დაარსებისა, რომელიც შეებრძოლება საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მომხდარ კონტრ- რევოლიუციას, სპეკულიაციას და მძარცველობას. მომხსენებელი საბახტარაშვილი მოკლედ აღნიშნავს, რომ დღევანდელ გართულებულ ვითარების გამო, როდესაც ანარქია ძალიან გახშირებულია ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა ადგილას და ჩვენს ნორჩს სახელმწიფოს ბევრი შეურიგებელი და დაუძინებელ მტერი ჰყავს, რათა სპეკულიაციით და სხვა რამით კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობა შეჰქმნას, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის კეთილდღეობასაც იმსხვერპლებს, ასეთ განსაკუთრებულ რაზმის დაარსების საჭიროებას ყველა ჰგრძნობს და დასაბუთებაც ზედმეტიაო.

**რ. გაბაშვილი** (ნ. დ.) რა თქმა უნდა, იმ მდგომარეობის დროს, რომელშიაც ჩვენი ქვეყანა იმყოფება, განსაკუთრებულ რაზმის დაარსება შეიძლება აუცილებელიც იყოს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ყოველგვარ სახელმწიფოებრივ და ფინანსიურ მნიშვნელობის მქონე აქტს საჭიროა ჰქონდეს აგრეთვე კანონიერების სახეც. ჩვენი ფრაქციის სახელით უნდა მოგახსენოთ, რომ სახელი კანონპროექტისა გამოცვლას და სხვა სიტყვით შეცვლას საჭიროებას. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ ეწეროს: კონტრრევოლიუციასა, სპეკულიაციასა და მძარცველობასთან მებრძოლი განსაკუთრებული რაზმი, კარგი იქნება ასე იყოს კანონპროექტი სახელდებული: სახელმწიფოს დამარღვეველ ელემენტთან მებრძოლი განსაკუთრებული რაზმი.

გარდა ამისა მე მინდა საბჭოს ყურადღება მივაქციო კანონპროექტის მეორე მუხლს, რომელიც ამბობს, რომ ეს განსაკუთრებული რაზმი მოქმედებს შინაგან საქმეთა მინისტრისგან ბოძებულ ინსტრუქციის მიხედვითო. ეს ინსტრუქცია კი რუსულ ენაზე უკვე გამოქვეყნებულია ქართული მისი ტექსტი ვერ ჩავიგდე ხელში და შეიცავს სხვა მუხლებს შორის ასეთ მუხლსაც: отряду предоставляется право подвергать опасных лиц аресту, обыску и высылке. როგორც ხედავთ ეს რაზმი თავის უფლებით გაცილებით უარესია, ვიდრე ნეტარ ხსენებული ჟანდარმერია რუსეთის იმპერიისა: აქ თვითეულ რაზმის კეთილ ნება-სურვილზეა მოქალაქის ხელშეუხებლობა დამოკიდებული. ვინც არ მოეპრიანება, რაზმელს შეუძლიან არა თუ გასჩხრიკოს ან დააპატიმროს, არამედ ... სახლოს. პასუხად, რა თქმა უნდა, დაგვაჯერებენ, რომ საქართველოს რესპუბლიკაში დემოკრატიული წესწყობილებაა და ამიტომ ასეთი ბოროტება არ მოხდებაო. შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ კანონის განმარტება და ახსნა განა ყოველთვის საბახტარაშვილის ხელში იქნება?

შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი**. მოქალაქენო! მე მესმის, როცა მემარჯვენე ფრთა ჩვენს კრიტიკას სახელმწიფოებრივ პრინციპზე აშენებს, მაგრამ რა პრინციპზეა აგებული დღევანდელი გამოლაშქრება ჩვენი მემარჯვენეებსა იმ კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ და მარტო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივობის განმტკიცება ემსახურება?

ბ-ნი გაბაშვილი შეიძლება იურისტი არ იყოს, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ სხვათაშორის სახელმწიფოს არღვევს ქურდობაც, რომელსაც მთავრობა უნდა სდევნიდეს. განსაკუთრებული რაზმი კი იმიტომ არის, რომ მას ჰქონდეს განსაკუთრებული უფლება, სხვა კანტიკუნტიან და წვრილ-წვრილ ქურდობა-მძარცველობასა და სპეკულიაციასთან ბრძოლა დაკისრებული აქვს მილიციას, რაზმის დანიშნულება კი არის ბრძოლა კონტრ-რევოლიუციასთან და მასთან დაკავშირებულ სპეკულიაციასთან. რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია კაპიტალისტურ წარმოებაში აილაგმოს სპეკულიაცია, მაგრამ ჩვენში სპეკულიაციას აწარმოებენ ყოფილ იმპერიის ქონების გარშემო. ჩვენ უკვე გვყავს რამდენიმე კონტრ - რევოლიუციონერი გენერალი აღმოჩენილი, რომელნიც სპეკულიაციას ეწევიან.

ბ-ნი გაბაშვილი აგრეთვე მოითხოვს, რომ ინსტრუქცია დამტკიცდეს ეროვნულ საბჭოში. არა, ინსტრუქციას ყოველთვის ამტკიცებს აღმასრულებელი ძალა და არა საკანონმდებლო დაწესებულება.

საჭიროდ ვრაცხ აგრეთვე აღვნიშნო ორი დიდი შეცდომა, რომელიც დაუშვა თავის სიტყვაში ბ-ნმა გაბაშვილმა. ის ამბობს, რომ ჩხრეკის, დაპატიმრების და გადასახლების უფლება აქვს ყოველ რაზმელს განსაკუთრებულ რაზმისას. ნამდვილად კი ინსტრუქციაში სწერია. რომ ჩხრეკა და შეპყრობა საეჭვო პირებისა ხდება **შინაგან საქმეთა მინისტრის ორდერების ძალით** (по ордерам министра внутренних дел) მეორე შეცდომა გაბაშვილისა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იმავ „возрожденіе-“ში საიდანაც მოიყვანა ინსტრუქცია ბ-ნმა ბატონმა გაბაშვილმა, ეწერა მეორე დღეს შეცდომის შესწორება: „ыемке“ უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი ნაცვლად высылке“ და გამოდიოდა ეს მუხლი ინსტრუქციისა ასე: отряду предоставляется право **по ордером министра внутр. дел** производить обыски, аресты **выемки.**

მე არ მესმის პოზიცია ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციისა. ეს რაზმი მისაღებია, მაგრამ არაჩვეულებრივია. თუ ეს რაზმი არაჩვეულებრია, მაშინ მე შემიძლიან შესაფერი დასკვნა გამოვიტანო იმ პარტიის შესახებ, რომელიც მის დაარსებას ებრძვის. ეს ცუდად ახასიათებს მას.

აქ არავითარ გა...ანტიის მოსპობაზე ლაპარაკი არ არის. თუ საჭიროა საქართველოს სუვერენიტეტის დაცვა და კონსტიტუციური გარანტიების განმტკიცება, მაშინ საჭიროა თუ არა ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონერებთან, განსაკუთრებულ რაზმის დაარსება? დიახ, როცა საქართველოს მტრები საშიშ მუშაობას აწარმოებენ და ხიფათს უმზადებენ ჩვენს დამოუკიდებლობას, ასეთი რაზმის დაარსება საჭიროა და მის წინაღმდეგ ჩვენი თავისუფლების და რევოლიუციის მეგობარი არას დროს არ გაილაშქრებს.

**ალ. ლომთათიძე** (ს.-დ.) გაბაშვილის გამოსვლა აქ რაღაც სხვანაირ ხასიათისა იყო. ერთის მხრივ რაზმი უნდა არსებობდეს, მეორეს მხრივ არ უნდა იყოს. აქ უნდა გავიხსენო ერთი ანდაზა თუ პილპილი არ გიჭამია ტუჩები რად გეწვისო. წინადადება შემოიტანეთ სახელი შეუცვალეთო. მაგრამ განა რამე გამოვა ამ შეცვლით? კანონ-პროექტის სახელწოდებაში არის ერთი სიტყვა: კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა და ამ სიტყვამ შეაშინა. საქართველოს რესპუბლიკის მტერი არის ამავე დროის კონტრ-რევოლიუციონერი. მთავარი მიზანი და დანიშნულება რაზმისა არის ბრძოლა საქართველოს მტერთან ე. ი. კონტრ-რევოლიუციონერთან. დღეს შეიქნება სპეკულიანტისა და კონტრ-...

თუ თქვენ ამის თქმა გინდოდათ, პატიოსნება მოითხოვს გაგეცხადებინათ, რომ კანონ-პროექტი ჩვენც გვეხებაო. ვინცა სწერს და ლაპარაკობს საქართველოს ერთგულებაზე, მაგრამ საქმით კონტრ-რევოლიუციას ეწევა, იმასაც შეიპყრობს ჩვენი რაზმი. (ხმები: ეგ ჟანდარმერიაა!) დე თუ მიხსნის ჟანდარმერია, ეშმაკსაც დაუკავშირდებით.

კამათში, რომელიც ამ საკითხის გარშემო იმართება, მონაწილეობას იღებენ შემდეგი ორატორები: ფაჩუაშვილი (სოც.-რევ.). ვეშაპიძე (ნ. დემ.), ალ ლომთათიძე (ს. დემ.), მინისტრი ნ. რამიშვილი; ნიკ. ქარცივაძე (ალიონელი და სხ. კამათის შემდეგ საბჭო იღებს კანონ-პროექტს უცვლელად, ხოლო რევ. გაბაშვილისგან წარმოდგენილ შესწორებებს უარყოფს.

შემდეგი საკითხია საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა შტატების შესახებ კანონპროექტი. მომხსენებელია **საბახტარაშვ.** (სოც.-დემ.), რომელიც აღნიშნავს, რომ ასეთ სიძვირის გამო საჭიროა ჯამაგრის გადიდება იმ პირებისთვის, რომელნიც პროვინციაში საქართველოს რესპუბლიკის განმტკიცებისთვის მუშაობენ. შტატების მიხედვით უნდა იყოს ერთი საგუბერნიო კომისარი 2 მისი თანაშემწე, 7 უფროსი და 3 უმცროსი მათი თანაშემწე. ქუთაისის გუბერნიაში; 1 საგუბერნიო კომისარი, 1 თანაშემწე 7 მაზრის კომისარი, 7 მათი თანაშემწე, სოხუმის ოლქში: 1 ოლქის კომისარი და ერთი თანაშემწე. ჯამაგირად მიეცემათ: გუბერნიის კომისარს: 16,200 მან. თანაშემწეს—10,800 მ. მაზრის კომისარს: 9 ათასი უფროს თანაშემწეს—...200 მ. უმცროს 6 ათასი; სოხუმის ოლქის კომისარს 13 ათასი, ხოლო თანაშემწეს 9 ათასი.

კანონპროექტის მოხსენების შემდეგ რ. არსენიძე (სოც..დემ.) მოაგონებს საბჭოს, რომ რეგლამენტის ძალით სხდომები სწარმოებს დილის 11 საათიდან დღის 3 საათამდე და შემოაქვს წინადადება კრება გადაიდოს.

**თავმჯდომარე.** რეგლამენტი მართლაც დარღვეულია. მაგრამ სხდომის დაწყებითა რეგლამენტი დაირღვა, 11 საათის ნაცვლად პირველზე გაიხსნა და ამ გარემოებამ გამოიწვია მეორედ დარღვევა რეგლამენტისა.

საბჭო ადგენს გაგრძელება სხდომისა მოჰხდეს იმავ დღის საღამოს 9 საათზე.

## ომის დეპეშები

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი.** 7—26. საომარი ცნობა— კრონ-პრინცი რუპრეხტის ლაშქარი ალბერთან ინგლისელების იერიში მოვიგერიეთ და 70 კაცი დავატყვევეთ ჩვენი მზვერავნი ბრწყინვალედ მოქმედებენ.

**გერმანელ კრონ-პრინცის ლაშქარი.**

ენსა და მარნას შუა მტრის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ ნაწილი ჩვენი ხაზების წინ, ნაწილიც ბრძოლის ველის რაიონში. ურკის ორსავე ნაპირას ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. აქ ჩვენ გავდევნეთ მტერი ურმი-ლე-შატოს ჩრდილოეთით მისი მოწინავე ხაზებიდან. ორედის აღმოსავლეთით და მდებარე ურკის სამხრეთით მტრის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ. ვილსელის სამხრეთ-დასავლეთით (მარნასთან არის) რისის ტყეში ჩვენი ხაზების წინ მტრის იერიშები მოვიგერიეთ. რეიმსის სამხრეთით ჩვენ გავწმინდეთ ტყიანი ადგილი ვრინის დასავლეთით და ფრანგების შავ და თეთრ ჯარის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. ბამასნში მტერმა იერიშები მოიტანა სიუპის ჰალასა და სუენს შუა.

**საჰაერო ბრძოლაში** გუშინ მტერმა 28 ჰაეროპლანი და 1 საჰაერო ბალონი დაჰკარგა.

**ბერლინი.** 7—26. საღამოს ცნობა ფრონტებზე ახალი არაფერი მომხდარა.

**პალესტინის ფრონტი.**

**სტამბოლი.** 7—26 სანაპიროსა და იორდანეს შუა მტრის არტილერია გუშინ ღამით ჩვეულებრივზე უფრო ენერგიულად მოქმედებდა. მტრის იერიშებს ჩვენი არტილერია ჯეროვან პასუხს აძლევდა. მთელი დღის განმავლობაში საარტილერიო ცეცხლი და მზვერავთა მოქმედება იყო.

## ახალი ამბავი

◆ **ფრაქციის სხდომა.** დღეს დილის 2 ს. დანიშნულია საქ. სოც.-ფედ პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომა.

◆ **სავარჯიშო ს.ზ. „ამირანი“** აახლებს მეცადინეობას 5 აგვისტოდან. მეცადინეობა იქნება ვაჟებისათვის სამ... ბათობით და პარასკეობით საღ. 7 საათიდან. ქალებისათვის ოთხშაბათობით საღ. 7 ს.

◆ **ნიხრი ...** ... სათო კომიტეტებში შეიძლება ... გამგეობის დადგენილებაში მიღება ... ხებზე ნიხრის შესახებ. იქვე შეიძლება მიღება დადგენილებისა სახლების კანონების შესახებ და აგრეთვე ინსტრუქციისა მეზოვეთა შესახებ.

◆ **ხოლერა.** ქალაქის საავადმყოფოში მოათავსეს 8 ხოლერიანი და 7 საეჭვო ავადმყოფი. უკანასკნელ დღეს გარდაიცვალა 9 ხოლერიანი და 1 საეჭვო ავადმყოფი; ივლისის 26-ს სულ იყო 166 ხოლერიანი და 25 საეჭვო ავადმყოფი.

◆ **ლტოლვილები.** უკვე შეუდგნენ ლტოლვილების გაგზავნას ქალაქიდან მე-300 ვერსის სადგურზე, ნავთლუღს იქით. გუშინ 1500 ლტოლვილი გაიყვანეს ქალაქიდან

◆ **მატარებლების გაუქმება.** სათბობი მასალის ნაკლებობის გამო გზათა მინისტრმა განკარგულება გასცა, რომ ივლისი 28 დან გაუქმებულ იქნას შემდეგი მატარებლები: ბორჯომის და მცხეთის, ყველა ბორჯომსა და ბორჯომის პარკში მიმავალი მატარებელი, ხოლო სურამის მატარებელთა რიცხვი 50%-ით შემცირდეს.

◆ **სროლა.** ივლისი, 26 ღამის 12 საათზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველები თავს დაესხნენ სახელმწიფო ბანკის დარაჯებს და სროლა აუტეხეს. დარაჯებმა სროლითვე უპასუხეს და გააქციეს. სროლამ რამდენიმე წუთს გასტანა.

◆ **სწავლის დაწყება.** სამოსწავლო წელი ყველა ტიპის სასწავლებელში დაიწყება მიმდინარე წლის სექტემბრის 20-ს და გაგძელდება 1919 წლის ივნისის 20-ამდის.

◆ **დუშეთის მაზრაში აჯანყების საქმის გამოსაძიებლად** პ. მ. კახიანმა შეადგინა შტატი და მოიწვია თანამშრომლებად შემდეგი პირნი: გომართელი, ვაჩნაძე, არსენიშვილი და კობიაშვილი. დღეს კახიანი თავისი თანამშრომლებით დუშეთში გაემგზავრება კახიანი სთხოვს ყველას, ვინც რამე იცის დუშეთის აჯანყებისა, აცნობოს შემდეგი მისამართით: დუშეთი, სასამართლოს მომრიგებელი კამერა.

◆ **სასოფლო გაზეთის გამოცემა** ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ სასოფლო კომისიამ დაადგინა გამოსცეს სოფლებისათვის გაზეთი არჩეულ იქმნა კომისია, რომელიც მიაწვდის სოფელს გაზეთსა და ლიტერატურას.

◆ **გერმანიასა და საქართველოს** შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოსაწესრიგებლად კომისიაში ამორჩეულ იქმნა წევრად პეტრე სურგულაძე, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

◆ **საქართველოს ეროვნულ საბჭოს** სოხუმის ოლქიდან დეპეშით ატყობინებენ რომ სოხუმის ოლქში მშვიდობიანობის დასამყარებლად აუცილებლად საჭიროა დამფუძნებელი კრების მოწვევაო.

◆ **გაძარცვა.** ივლისის 25-ს, ღამის 12 საათზე ვერის ხიდთან ბოროტ-განმზრახველებმა ჯარის-კაცების ტანისამოსში გამოწყობილებმა, გაძარცვეს ა. ჩახავა და მ სიხარულიძე. წაართვეს 895 მანეთი ფულად

— ივლისის 26-ს პოდპ. ალექსეევის ბინიდან (მიხეილის ქუჩა) წაიღეს 11 ათასი მანეთის ღირებული საქონელი.

◆ **დიდი სახალხო სეირნობა საქველმოქმედო მიზნით.** დღეს, ივლისს, 28 მეორე ქართულ კლუბში (მიხეილ. პრ.) გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა საინტერესო პროგრამით: ქართული წარმოდგენა, კუპლეტები, ევროპიული ცეკვა, ლეკური, უზუნდარა, სინემატოგრაფი, ბავშვებისათვის გასართობები და სხვა. 10% შემოსავალიც ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადაიდება.

დასაწყისი საღ. 5 საათზე ახალი დროით.

◆ დღეს საღამოს 8 საათზე იმართება ამიერ-კავკასიის სამედიცინო საზოგადოების დარბაზში (ალექსანდრეს ბაღი, პუშკინის ბიბლიოთეკის ზედა სართული) კავკასიის თავისუფალ მოაზროვნეთა საზოგადოების მიერ გამართული იქნება მსჯელობა (დისპუტი).

„საზოგადო განსჯა ბოლშევიკების მოთავეებისა და წინამძღოლებისა“: მონაწილეობას მიიღებენ ილარ. ტალახაძე მაისურაძე და სხვანი.

## სამხერის ამბები.

როგორც შემდეგ გამოირკვა 17 ივლისის შეტევას დიდი ზარალი მიეყენებია მოთარეშეთათვის, თავზარ დაცემული და განიავებული ყოველ მხრივი შეტე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

..ულან და ჭალის ხეობის მხრივ თი-
..ის 14 ვერსის მანძილზე უკუქცეულ..ქნენ. უნდა გენახათ ეს გაპირუტყვე..ლი ხალხი როგორ მიძუნძულებდა ..ურმე მშიერი მგლებივით. წინა დღე..ბში განძარცვი და ტყეებში მიმალუ..ლი ქონება გუდებით, ტომრებით და ყუთებით ზურგზე ეკიდათ და გარბო..დნენ ჭალისაკენ. მარცხნივ სახალხო გვარდიამ პორ. გოგიჩაიშვილის მეთაურობით და შტაბს კაპ. ხვედელიძის ჯარმა კაპ. კანდელაკის ცხენოსნების ხოდაშუნებში დახმარებით ისე ძლვირ დაჰკრა მტერს რომ მიუხედავად ძლიერი დაბრკოლებების 10 ვერსის მანძილზე გასდია და გადავიდა სოფელ ჭალის გადასახედავამდე მთაწმინდის პირდაპირ. იგვიანებდა მემარჯვენე ნაწილი რაზმთა, თუმცა იგი ბევრით არაფრით ჩამორჩენია მემარცხენეთ და მათაც 8 ვერსზე დახიეს და გაფანტეს მოთარეშენი. ამავე დღეს ჭალაში შესვლა და გაქცეულ მოწინააღმდეგის დევნა შეუძლებელი შეიქმნა, რადგანაც უკვე შეღამდა და ძნელი გახდა უცნობ ჭალა ტყეებში მოქმედება და მეორე ამის უმთავრესი მიზეზი იყო ის რომ მოწინააღმდეგე ორ შტოდ გაიყო. ერთი შტო ჭალის ხეობაში უკუ ქცეული სოფ. დარყას გაშორებოდა და სოფელ ჯრიაში შეჩერებულიყო. ეს ძალები იყვნენ უმთავრესად შორაპნისა და რაჭის მაზრის ოსობა და ზოგი ჩვენებური თავზე ხელ აღებული ახალგაზრდობა, ხოლო მეორე შტომ კორბოულელთ და ქარ.. ..ან გადმოსულთ ამჯობინეს სავანე, ..დურევის მიმართულება და ამ ..ხევებსა და ტყეებს მოედვ.. ..ამე ჩვენ მემარჯვენე ძალებს ..სა, გამყრელიძისა, და რო..ნისოვის მეთაურობით უნდა ..ოესპოთ კორბოულისაკენ ..ტერი და მერე შეუერთდე..ისაკენ შემტევ ამხანაგებს. ..7 ჩვენმა ჯარმა პოზიციები ..მარცხნივ ორღულ-ღონაში, ..არჯვნივ სავანესა და არგვეთის ..ე. მეორე დღეს 18 სათ. ადრევე ..ნენ ჩვენები იმავე მიმარ..ებით. მემარჯვენე ნაწილებმა შეუ.. ..იცქის-ეთო და ირტავაზა-ცხამის ..თულებით. გამყრელიძემ მოუარა ..იდან, გაიარა არგვეთი სავანის თავი, ..მოირა ცხაში, ეთო, ეხვევი. როცა ..მდგომარეობა გამოარკვია კაპ. ბ-ნმა ..ხნელმა გადასწყვიტა არტილერიის ..ოფ. საკოხიას ბოლოზე გადაწევა და კიდეც გასცა განკარგულება. თვითონ ჩვეულებრივი სიფრთხილით თან გაიყოლა მცირე რაზმი ცხენოსანთა და დასაზვერავად გავიდა ჭალისაკენ. სოფ. ჭალის მცხოვრებნი დიდის ალტაცებით შეხვდნენ ჩვენ ჯარის ჭალაში გამარჯვებით შესვლას სოფელში თეთრი ბაირაღები გამოფინეს ბ-ნ იმხნელს ჯგუფ ჯგუფად გამოეგებნენ მცხოვრებნი და ათრთოლებულნი და სიხარულის ცრემლით თვალზე მორეულნი მადლობას უცხადებდნენ გამარჯვებულთ. სანიტარმეომარი მიხეილ ჯიბლაძე და თქვენი უმორჩილესი მონა თოფებით ხელში სოფელ ჭალის ბოლოზე ერთად მოვდიოდით. შორიდან გამოჩნდნენ ვილაც ქვეითნი რამდენიმე კაცი და ერთი ცხენოსანი ჩვენსკენ მომავალნი. მოდიოდნენ ერთი კვირის ტყვეობაში განაწამებნი და რაღაც სასწაულით გამხეცებულ ბრბოსაგან ყელების დაჭრას გადარჩენილნი სოფ. გორისის მცხოვრებნი ..ანი: სამხედრო ექიმი გიგო, მასწავლებელი ვასო, სტუდენტი ადიკო და მათი ბიძაშვილი სვიმონ აბდუშელიშვილები. მათ თან მოყვებოდნენ ტფ. ქართულ გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლე გიორგი წერეთელი, სანდრო ფალავანდიშვილი და მსახური კობახიძე. ისედაც გატანჯულებისა და ..ულიერად ძალზე მოქანცულების გზაზე დაწვრილებით გამოკითხვის დრო აღარ იყო. მათგან მხოლოდ გაკვრით გავიგე რომ რაღაც განგებას და სრულიად მოულოდნელ შემთხვევას იგინი სიკვდილს გადაერჩინა. მოთარეშეთა ბანაკში მათი სიტყვით, აღმოჩენილა ქართლის სოფ. ჯავისმცხოვრები სტუდენტი ალექსანდრე ჯატიევი ერთს უნივერსიტეტში ადიკო აბდუშელიშვილთან ერთად მოსწავლე მათი აგრეთვე კარგი ნაცნობი სოფელ წონას მცხოვრებს მდიდარ კოსტა ჯიოშვილის შვილი პრაპორშჩიკი ალექსანდრე. აწ სახელოვანნი მამულიშვილნი ალექსანდრე ჯატიევი და პრაპ. ალ. ჯიოშვილი ბევრს სცდილან, მაგრამ ეს უდანაშაულო ტყვეები თავიანთ სახლიდან ცხვრებივით გადენილნი ვერ გაუნთავისუფლებიათ. მათ მხოლოდ ის მოუხერხებიათ რომ გაბოროტებული ცნობილი ხარებოვი მათ შედარებით კარგად ექცეოდა.

ჩვენი ჯარის ბატარეის ნაწილი და მთელი რაზმის ხელმძღვანელნი ჭალის სკოლისა და ეკლესიის ეზოში დაბანაკდნენ. საშინელი სურათი გადაგვეშალა წინ სოფ. ჭალის მცხოვრებთა ტანჯვისა და მატერიალურად სრულიად განადგურებისა. ოცი დღის განმავლობაში ეს ამოდენა მშიერი ხალხი თავს აწვა სოფელ ჭალის აბაშიძეებს. შიში ისეთი შეიტანეს ამ სოფელში, რომ თავიანთ მხეცური მოქმედებით საკითხი დაუყენეს მათ ყოფნა არ ყოფნისა და აბა ვინ დაიშურებდა მათთვის შესაჭმელად გადაეცათ ყოველივე რაც სულის იქით გააჩნდათ. მეამბოხეთ თავისუფალი დროც ბევრი ჰქონიათ და მოჰყოლიან მატერიალურად მათ ..რულს გაყვლეფას. არც ხორბალი, აღარც ფქვილი, აღარც წვრილ ფეხი აღარც თივა, აღარც ბალი გაუნადგურებლად არ დაუტოვებიათ. არიან ისეთი პირნი რომელთაც ოსების მეოხებით ორი დღის საკვები არ დარჩენიათ ღვინო ერთი ჭიქაც აღარავისთვის დაუტოვებიათ. პ. და ქრ. აბაშიძეებს 3000 ვედრა ღვინო ჰქონდა და როცა ვინახულეთ მოპირმარილე ოჯახმა ერთი ბოთლი ღვინო ველარსად იშოვა. გაუძარცვავთ ნივთიერად სამსონ ბერის ძე და სხვა აბაშიძეები. ზოგს არამც თუ ნივთები წაართვეს ფეხზე უბრალო ტყავის ჩუსტებიც კი გახადეს თურმე. ივლიანე და მიხეილ ბიჭიასძე აბაშიძეებს ფასად დაუჯდათ თარეში ბოროტებისა. საერთო მათ ოჯახში მისულან მღვ. ირაკლი და ბიჭია აბაშიძეები გამოუხმიათ, მათი შვილები მიხეილ და ივლიანესათვის პურში რევოლვერები მიუციათ და მოუთხოვნიათ: ჩვენ გვითხრეს თქვენ ბევრი თოფები გაქვთ გამოგვიტანეთ თორემ ეხლავე გადაგწვავთ, ეხლავ გაგანადგურებთო. გამოუთქმელად შეშინებულთ უთქვამთ ერთის მეტი ჩვენ თოფი არა გვქონდა და წაიღეთ. თუ არა გჯერავთ და ეჭვი გაქვთ რომ მე სახლში თოფები მაქვს დამალული მობრძანდით დაწვით სახლი და მგონია რკინა დაიწვის და მაშინ გამოჩნდება რომ ჩვენ არავითარი იარაღები შენახული არა გვაქვსო. ესეთი თავზარდამცემი სცენები გრძელდებოდა სისტემატიურად მთელს სოფელში სამი კვირის განმავლობაში. თუ კი დრომდე მაინც სოფელი ჭ..ლა სრულს გაძლეტას გადარჩენია ეს მით აიხსნება რომ სანოვაგის მხრივ მოთარეშენი დაბრკოლებას არ ხედავდნენ და ამასთანავე თავიანთ ბოროტგანზრახვათა სისრულეში მოყვანას არ აჩქარიდნენ, რომ ხალხში ცოტად მაინც მათ პრესტიჟი და ავტორიტეტი არ შერყეოდათ, მით უმეტეს რომ ეს მათთვის ძლიერ საჭირო იყო სანამ ჩვენი ჯარი არ იქმნებოდა დაძლეული და საჩხერიდან სრულიად განდევნილი. მერე კი მოუბრუნდებოდნენ და მათ ილოდნენ რასაც საშინელებას ჩაიდენდნენ ისე როგორც ქართლის ზოგიერთ სოფლებში მოახერხეს და მოაწყვეს როგორც გადმოგვცეს მოთარეშეებს ერთგვარი გამომძიებელნიც მისდევდნენ, რომელნიც სიებს ადგენდნენ თუ ვინ დაეწვათ და ვინ დაეხოცათ.

ქაქუჩელა.

(შემდეგი იქნება)

# „თეთრი ოცნების“ საგანძურიდან

მ. მ—იანს.

მიყვარდა სიტყვა გამართული, როგორც მიმინო,
წარმართულ როკვით აქოჩრილი ლექსთა მარულა,
ვმეფობდი ჩემთვის ქედმაღალი, თუმც უგვირგვინო,
თქმათა სიუხვით ბაგე ჩემი არ დაცარულა.
მაგრამ გასტეხა ბედისწერამ მტკიცე ქეშელი:
მტრის ანცმა ტყვიამ პირს დამადო მძიმე ბოქლონი,
ტუჩაკრულობას შემაჩვია სიტყვის მგეშელი
და მიკვდებიან უთქმელობით თქმანი—ოქრონი...

ენის მაგიერ შევითვისე უხმო სიმღერა,
აშლილს ნერვებზე ვახმაურებ უცნაურ ჰანგებს;
დამარცხებულმა დავამარცხე თვით ბედისწერა,
აწ კბილთა ღრჭენა დიდს უსახოს ველარას არგებს!
თეთრი ოცნების აღვიშენე თეთრი ტაძარი,
სადაც ზვარაკად მიმაქვს მარად ცრემლი და ღიმი;
სულმა კვლავ ჰპოვა სასოების თავშესაფარი
და სიყვარულმა თეთრფრთიანი ცის ქერაბიმი.

1918 წ. ივლისი
დედაქალაქი

ა. ჭუმბაძე.

# ჩვენი ჯარი და მთიულეთი

ჩვენი ჯარის სწრაფმა წინსვლამ საქ. სამხედრო გზაზე თავზარი დასცა მტერს და კავკავის რაიონი ფეხზე დააყენა. მათ ეგონათ, რომ ჩვენ არ ვჩერდებოდით და ამიტომ დაიწყეს კავკავის ევაკუცია. სოფლებმა კი გამოკიდეს თეთრი დროშები და გაიხიზნენ მთებში.

ბოლშევიკები ამბობდნენ, განსაკუთრებით გუდაურის ბრძოლის შემდეგ, რომ 40,0 0 ქართველი მოდისო. როგორც ეტყობა ქართველებს მოუკრებიათ ძალაო. როდესაც ჰკითხავდენ ხოლმე გამოქცეულ ბოლშევიკებს რად მორბიხართო, ეუბნებოდნენ: ვესვრით, ვესპობთ და მაინც ამდგარი მოდიანო, არაფერი აშინებთ და აჩერებთო.

ივლისის 15-ს მოვიდა ლარსში ქისტების დელეგაცია და მოწიწებით გვკითხა, თუ რას ვაპირებთ, შეგვეხვეწა კი რომ წინ ნუ წამოხვალთ, რაც წამოდით და ჩვენი ადგილი დაიკავეთ ვეყოფათო. ჩვენ მივეცით პასუხი, რომ არავითარ აგრესიულ პოლიტიკას არ ვადგვიართ, გვსურს მხოლოდ გზის გაწმენდა მავნე ელემენტებისაგან და მიმოსვლის აღდგენა რაც ჩვენთვისაც და თქვენთვისაც ხელსაყრელი იქნება. დელეგაციის თავმჯდომარემ მიმართა იქ მყოფ ჩვენ ჯარს სიტყვით.

სიტყვა მეგობრული იყო და მასთან მონარქიული, როგორც ეტყობა მასაც რეაქციონერები ვგონებივართ. საღამოს მეორე დელეგაცია მოვიდა თერგის მთავრობისაგან, მათ განაცხადეს რომ დიდ.. ..ლას დელეგაცია რომ იყოო მათ არაფერი დაუჯეროთო. აი ჩვენი მანდატებიო, გვიჩვენეს. გენერალმა დანიშნა 20 რიცხვი მოლაპარაკებისათვის, როდესაც შეიკრიბებიან ორივე მთავრობის წარმომადგენლები.

ჩვენმა მთავრობამ უსათუოდ უნდა მიიღოს ყოველი ზომები კავკავზე მიმოსვლის აღდგენისათვის. ვინაიდან გზის დახურვა განსაკუთრებულ ცუდს და გამოუვალ პირობებში აყენებს ჩასანაურიდან მოყოლებულ მცხოვრებლებს აქ იჭრება პურის საკითხი, პური ამ მხარეში არ მოდის, მხოლოდ კავკავიდან მოაქვსთ რადგან უფრო იაფიც არის და დასამხარზეც. უგზოობა ჰქმნის უპურობას და უპურობა ამზადებს მასაში ყოველნაირ პროვოკაციის გავრცელების ნიადაგს, თუ უპურო ხალხს კვლავ უთხრეს რომ მხოლოდ ჩვენ ბოლშევიკები კავკავიდან მოგიტანთ პურსო, დარწმუნებული ვარ კვლავ აიმღვრევა წყალი, და გადადგება ხალხი. უნდა გვახსოვდეს რომ აქ ტფილისთან კავშირი ნაკლებად აქვს ხალხს, მისი ქალაქი კავკავი არის.

ზომები მთავრობისა მიმოსვლის აღდგენისათვის უნდა იქნეს დიპლომატიური. და თუ არ გასჭრა დიპლომატიამ მაშინ საჭიროა უსათუოდ ძალა, შეტაკება და გაწმენდა იმ მალაკანთა სლაბოდისა, რომელიც კავკავის შესავალზეა და უპირველეს ჩვენი მტრებისაგან შესდგება. ვკითხე ინგუშებს, კავკავისაკენ რომ წავიდეთქო რა პოზიციას დაიკავებთ ჩვენ მიმართ. მათ მიპასუხეს: ჩვენ არ მოგეხსრობით. შეიძლება კიდევაც ზოგიერთები შეგებრძოლოსთ, რადგან, რომ აიღოთ კავკავი იქ არ დარჩებით, არ გაამაგრებთ და თქვენ მთავრობას არ შექმნითო, და შემდეგ როდესაც დაბრუნდებით, ჩვენ თუ დაგეხმარებით მოგვდგებიან ყველანი, ისედაც ბევრი მტერი გვყავს და სრულიად გაგვანადგურებენო.

თუ კი გვეტყვით, რომ სამუდამოდ შედიხართ კავკავში ჩვენ, ყველანი ავიყრებით დიდიან-პატარაიანად და თქვენთან ერთად დავიხოცებით მის აღებაშიო. ყაზახები და ოსები ინგუშებს არ უშვებენ თავისუფლად კავკავში ასე, რომ ინგუშები კბილებს ილესავენ. მაგრამ არსებობს მეორე პირობა, რომელიც მათ აჩერებს და არ ამოქმედებს კავკავის წინააღმდეგ. ეს არის ის, რომ ეხლა კავკავის მთავრობას აქვს ბრძოლა კაზაკებთან და მათ მოკავშირე მართლმადიდებელ ოსებთან, რომლებიც არიან ინგუშების მოსისხლე მტრები. აქედან ცხადია მათი ჩვენდამი განწყობილება; თუ დავამარცხეთ ბოლშევიკებიც და კაზაკებიც მაშინ ინგუშები ჩვენთან იქნებიან, არა მარტო ინგუშები, არამედ მთლი მთიულეთიც.

ეხლავე უნდა იქმნას კარგი სამხედრო ინსტრუქტორები, სამხედრო საჭირო მასალებით გამოგზავნილი ყაზბეგში და ადგილობრივ ძალებიდან ჯარის შედგენა. აქ სულ ადვილად შესდგება ერთი ბატალიონი ქვეითა და ერთ ასეულ ცხენოსანთა საუკეთესო მამაცი და პატრიოტულ ჯარისა, რომელიც თამამად გაამაგრებს ყაზბეგს და დაიჭერს დარიალს, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენ კეთილდღეობისათვის მცხოვრებლები თვითონ იხვეწებიან, რომ ასე მოვიქცეთ. ეს ჯარი აქ თანდათან გადიდდება და სამშობლო მოგებული დარჩება, რადგან არ დასჭირდება ისედაც მცირედი ძალების დაბანდება — დაქსაქსვა.

# ერობის გარშემო

ამა წლის მარტიდან მთავრობა შეუდგა საერობო სამზადისს. ამისათვის სათანადო თანხაც გადაიდო, დაინიშნა მთავარი ინსტრუქტორი და აღმასრულებელ კომიტეტებს სოფლად დაევალა საქმის წარმოება. შეუდგნენ მუშაობას ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში; მუშაობის შესახებ ყოველგვარი ცნობები მოსდის მთავარ ინსტრუქტორს საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან. ქუთაისის გუბერნიაში მაგალ. კარგა ხანია გაგზავნილია ინსტრუქტორები სოფლების საერობო არჩევნებისთვის მოსამზადებლად. ასევე ტფილისის გუბერნიაშიც.

კერძოდ ტფილისის მაზრამ ამ მხრით წინ გაუსწრო სხვა მაზრებსა. ივლისის 14-ში უკვე მოხდა არჩევნები მაზრის ორ ოლქში: ტფილისის განაპირა უბნებისა და სართიჭალის რაიონში.

აღსანიშნავია ერთი არა სასიამოვნო მოვლენა ამ არჩევნებისა. ხალხი ვერ იღებს მონაწილეობას არჩევნებში როგორც სასურველია. მიზეზი ამისა ბევრია: მიმდინარე მომენტი, თუ სოფლად შექმნილი ანარქია და თუ კიდევ ისა, რომ დიდი ნაწილი გლეხობისა სამუშაოდ არის გასული ეგრედწოდებულ „იალაღზე, მაგრამ ასეა თუ ისე ზემო დასახელებულ რაიონებში არჩევნები მაინც წესიერად ჩატარდა.

აგვისტოს 2-თვის დანიშნულია არჩევნები ყარაიაზის ოლქში. წარმოდგენილია უკვე კანდიდატთა სია ორი ჯგუფისაგან და სათანადო მუშაობაც არის. განზრახულია, თუ მცხოვრებლების უმრავლესობა იალაღზე იქმნა გასული, საარჩევნო ყუთებიც იქ გადაიტანონ და იქ მოახდინონ არჩევნები. ასე რომ, თუ რაიმე გარემოებამ ხელი არ შეგვიშალა, აგვისტოს დამლევისთვის უკვე შესაძლებელი იქნება ტფილისის მაზრის პირველი საერობო საკრებულოს ხმოსანთა სხდომის მოხდენა.

გაზ „საქართველო“ № 145 მეთაურ წერილს უძღვნის საერობო არჩევნებს. როგორც ამ წერილიდანა სჩანს გაზეთს არა აქვს არავითარი წარმოდგენა მიმდინარე საერობო არჩევნების შესახებ. ვინც დაინტერესებული იყო ამ საკითხით ადგილობრივ გაზეთებში შეხვდებოდა სხვა და სხვა ცნობებს საერობო არჩევნებისა და მისი სამზადისის შესახებ.

გაზეთი ამ ჟამად შემოღებულ ერობას სასწრაფოდ მოწყობილს უწოდებს, ვინაიდან მისი ფიქრით სათანადო მუშაობა არავის გაუწევია და ურჩევს მთავრობას შეაჩეროს არჩევნები, სანამ საკმაო მყუდროება დამყარდება და მთავრობა სოფლად მტკიცე ადმინისტრატიულ აპარატს შექმნის.

საკვირველია აგრეთვე გაზეთის აზრი: ამ ჟამად ვინც ნამდვილ სახალხო თვითმართველობის შექმნას ე რფის, უნდა ცდილობდეს საერობო არჩევნების გადადებასაო“.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ რაც შეიძლება დავაჩქაროთ არჩევნები, ვინაიდან საქართველოს სხვა და სხვა კუთხის ამბოხებისა და ანარქიისერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ის არის, რომ სოფლები დღემდის ვერ ჩამოყალიბდა, ვერ შეიქმნა იქ ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობა გაეწია და ეპატრონა გლეხობისათვის.

უნდა დავაჩქაროთ არჩევნები რათა მოეღოს ბოლო სოფლად ყოველგვარ უწესობასა და ანარქიას, რომ სოფლები ჩამოყალიბდეს და ერთგვარ კალაპოტში ჩადგეს.

მართალია პირობები არ გვიწყობენ ხელს, რომ უნაკლოდ ჩავატაროთ არჩევნები, მაგრამ მომენტს უნდა ანგარიში გაუწიოთ.

მრავალი ტანჯვისა და ვაების შემდეგ ჩვენ დაგვიდგა შენების ხანა, ამისათვის საალმშენებლო მუშაობაც უნდა გავაჩაღოთ რაც უნდა ცუდ პირობებში მოვეხვიდეს ... და ... თანხმოთ, საქართველოს ... შორეულ ... უნდა ... ისეთი ორგანიზაციის შემოღება, როგორიც არის ერობის თვითმართველობა, ვინაიდან ამით ისარგებლებენ ჩვენი მტრები, ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა ჯურის ნაძირალები.

გაზეთს არ მოსწონს საერობო არჩევნებისთვის სეიმის გამოცემული მიერ კანონი და ურჩევს ეროვნულ საბჭოს მიიღოს ზომები, რათა საარჩევნო კანონი გადასინჯულ და შეცვლილ იქმნეს.

თუ გაზეთი დაინტერესებულია და თვალყურს ადევნებს საერთოდ არჩევნებს, მას უნდა გაეგო, რომ ერობის გარშემო 5—6 თვეა მუშაობა სწარმოებს და საარჩევნო კანონიც „დროებ. დადგენილება სეიმის ამიერკავკასიის საერობო არჩევნებისა“ შეცვლილია საჭიროებისამებრ, როგორც ამას სოფლის, ჩვენი გლეხობის ცხოვრება გვიკარნახებს.

სტუდენტი ქალი.

# რუსეთი

**ხოლერა.** რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში ხოლერა გაძლიერდა. მაგალითად არხანგელსკში ყოველ დღე ოცდა ხუთი კაცი კვდება, ხოლო სარატოვში ასი.

# გერმანული პრესა

**ვილჰელმის სიტყვა**

„დოიტშე ცაიტუნგში“ მოყვანილია ერთი ადგილი იმპერატორ ვილჰელმის იმ სიტყვიდან რომელიც წარმოსთქვა მან ფრონტიდან დაბრუნებისას ახენში:

„ამიერიდან გერმანელმა საზოგადოებამ უნდა მოიშალოს ფრანგული სიტყვების გარევა საუბარში და ფრანგული ლაპარაკი. ვილაპარაკოთ ყველამ გერმანულად. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გერმანელმა ქალებმა, რადგანაც ქალები მისდევენ უცხო მოდას და მათვე სჩვევიათ უცხო ენებზე ლაპარაკი. როცა ჩვენი ქალები ინგლისელ ან ფრანგის ქალებს უცხო ენაზე გამოებაასებიან მათ ამ რიგად „განათლებულად“ მოაქვთ თავი, ის კი არ იციან თუ როგორ დასცინიან მათ ამისათვის.

ომის დაწყების დროს ლონდონსა და პარიზში გერმანული აკრძალეს. ჩვენ სამწუხაროდ უფრო მოუმატეთ უცხო ენაზე ლაპარაკს.

ფრანგები და ინგლისელები სადაც უნდა წავიდნენ ევროპის სხვა სახელმწიფოებში, აზიაში თუ აფრიკაში მაინც სამშობლო ენას არ იშლიან, ჩვენც ვაჩვენოთ ქვეყანას რომ ჩვენ მარტო ჩვენ სამშობლო ენაზე გვინდა ვიმეტყველოთ, ვისაც ჩვენი გაგება უნდა და ჩვენთან საქმე აქვს დეე ისიც გაისაჯოს და ჩვენი ენა ისწავლოს“.

**გერმანელი წყალ ქვეშა ნავები.**

„ციურიხიდან“ იტყობინებიან რომ ნიუიორკის პორტი დაუკეტიათ, გერმანელ წყალქვეშა ნავების შიშით. ამავე მიზეზით ამერიკელ ჯარის კაცების ევროპის საომარ ასპარეზზე გადაზიდვა დიდად ფერხდება.

**პარიზის თავდაცვა.**

ჰააგიდან იტყობინებიან; კლემანსოს სურვილით შესდგა პარიზის დამცველი კომსსია. ამ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია გენერალ დჟუბაილ.

**რუს-გერმანელთა კონფერენცია ბერლინში.**

ბერლინის გაზეთების ცნობით ბერლინში შესდგება რუს-გერმანელთა კონფერენცია, რომელთაც მთელი რიგი საკითხებისა უნდა გამოარკვიონ რუს-გერმანელთა დამოკიდებულების გასამარტივებლად.

**ესპანიაც ემზადება.**

„ტანის“ იუწყება: მინისტრ და ციერვამ განაცხადა აუცილებლად მოკლე ხანში უნდა შეუდგეთ სამხედრო რეფორმებს. რადგან ევროპიელ ერთა კონფლიქტს ბოლო არ ელებაო.

**პარიზის მდგომარეობა.**

ბაზელიდან ატყობინებენ „დოიტშე ცაიტუნგს“: აქაურ კომპენტენტურ სამხედრო წრეებში დარწმუნებული არიან, რომ გერმანელების უდიდესი მიზანია ამ ჟამად პარიზს ისე დაუახლოვდნენ რომ 15 სანტ. ზარბაზნებას დაშენა შეეძლოთ, ჯერ ჯერობით შორს მტყორცნელ ზარბაზნებით 60-ამდე ყუმბარა დაეცა პარიზს.

**ოსთა კავშირი და რუსეთი**

„კოლნიშე ცაიტუნგი“ სწერს: ოთხთა კავშირი გაცხარებულ მზადებაშია რუსეთში. ისინი ნიადაგს ამზადებენ იმ დღისთვის, როცა მემარცხენე პარტიებიდან

თავმოძულებული რუსეთი მარჯვნივ გადაქანდება; ამ რიგად მათ სწადიათ ისევ ჩაითრიონ რუსეთი ძველებურ სამხედრო ავანტიურაში.

ამ მოკლე ხანში პეტერბურგში გამოვა ერთი ახალი გაზეთი, რომელსაც დიდი კაპიტალი აქვს უკვე მზად. ამ გაზეთის ხელმძღვანელთ სწადიათ ააცდინონ რუსეთი ამ ავანტიურისტების ზედგავლენას და გზა გაუკაფონ რუსეთ-გერმანიის პოლიტიკურ კეთილგანწყობილებას.

**გერმანელების ნადავლი დასავლეთ ფრონტზე.**

კრონპრინცის ლაშქრის ნადავლის რაოდენობა მარტის 21-დან უდრის: 185,000 ტყვეს. 2,250 სხვა და სხვა ყალიბის ზარბაზნებს. და მრავალ ათასს ტყვიის მფრქვეველს.

## ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის სამართველოს შესახებ

რუსეთის ჯარების ფრონტიდან მოხსნის შემდეგ ბევრი სხვა და სხვა სამხედრო დროის დაწესებულებები გაუქმდა და დაიშალა, ჯერ ერთი იმისთვის რომ მათ შემდეგ საჭიროება არ იყო და მეორედ ისა, რომ ამიერკავკასიის მთავრობას შენახვის შეძლება არ ქონდა. ყველა ამგვარ დაწესებულებებმა თავის აუარებელი შტატებით მოიყარეს თავი ქ. ტფილისში და აქ შეუდგნენ ლიკვიდაციას, ის აუარებელი ქონება, რომელიც ამათ განკარგულებაში იყო დარჩა ფრონტზე—მტერს ჩაუვარდა ხელში. უკანასკნელად კი ს-ლიკვიდაციო ხარჯები, შრომა და მასთან დაკავშირებული უკმაყოფილება, ლანძღვა-გინება ხვდა წილად მარტო ქართველ ერს—საქართველოს რესპუბლიკას. ამ შემთხვევაში, თუმცა ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არ შემიძლია, რომ არ მოვიგონო კრილოვის კარგად ცნობილი არაკი და იმედის ვალით შევცქერი მუხის ტოტებში იქნებ გამოჩნდეს ყვავი. აქ მე მსურს მოგითხროთ ცოტა რამ ერთი ამგვარ დაწესებულების შესახებ, სახელდობრ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებისა. თავის დროზე ეს დაწესებულება მოსამსახურე ახალგაზრდობას იფარავდა სამხედრო სამსახურისაგან და ამიტომაც იყო რომ უმეტესობამ მოსამსახურეთაგანისამ ადრიდან მოიყარა შიგ თავი რუსეთიან გადმოხვეწილ ებრაელებმა და აქაურმა სომხებმა. მთავარ კომიტეტთან არსებობდა განსაკუთრებული შტატი, რომელთა საზრუნავს შეადგენდა მხოლოდ მოსამსახურეებისთვის სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადის დროებით გადადების შუამდგომლობას. მე აქ არ შემიძლია აღვწერო ის ბოროტმოქმედება, რომელიც ხდებოდა სხვა და სხვა განყოფილებებში წარსულში და ისიც თუ რა ზარალი ეძლეოდა სახელმწიფოს ბევრ მოსამსახურეთა დაუდევრობის და დაუზოგველობის გამო. უკანასკნელებზე კი ცოტა რამეს მეც მოგითხრობთ.

ამ წლის მარტის პირველ რიცხვებში ყველა ადგილებიდან კავკასიის ფრონტის მოსამსახურენი ტფილისში იყვნენ და მთავარ კომიტეტში ანგარიშებს ილებდნენ. სპარსეთიდან ჩამოსულებმა მიამბეს: ის აუარებელი ქონება, რომელიც ქალაქის კავშირს ეკუთნოდა შერეფხანეში და მის ახლო-მახლო უკან მომავალმა რუსის ჯარმა გაანადგურა. დანარჩენი ნაწილი ამ ქონებისა (უმთავრესად ცხენები) წამოიღეს მოსამსახურეებს გადასარჩენად. ბევრის დაკარგვის და დიდი გაჭირვების შემდეგ გადმოუტანიათ საზღვარზე. ჯულფის აქეთ დახვდრიოდათ ერევნიდან სომხის ნაციონალური ჯარი და სამხედრო საჭიროებისთვის დაეტოვებინათ ყველაფერი, მოსამსახურენი კი ყველა მთავარ „კომიტეტს გამოუგზავნეს დასაკმაყოფილებლად. ვინ არ იცის, რომ ასეთივე მაგალითები მოხდა სარიყამიშსა, ყარსსა, ალექსანდროპოლსა და განჯაში, სომხების და ადერბეიჯანის წარმომადგენლები, ჯერ ამიერკავკასია არ დაშლილიყო, და ცდილობდნენ კი ომის დროს შეძენილი სიმდიდრე თავიანთ ტერიტორიის არ გასცილებოდა—ტფილისში არ ჩამოეტანათ, მაგრამ უბედურება ისა, სულ მთლად ვერც თავიანთვის შეინარჩუნეს: მეტი ნაწილი მტრის ხელში გადავიდა). ამ აუარებელი მოსამსახურეების დაკმაყოფილება, მაშინ როდესაც რუსეთი ფულს არ აგზავნიდა, ძალიან გაუჭირდა ამიერკავკასიის მთავრობას: ცოტ-ცოტას იძლეოდა ფულს, მოსამსახურენიც ნაწილ-ნაწილად ილებდნენ და იმ დროის განმავლობაში კი ჯამაგირიც ეძლეოდათ: ამან კი გასტანა ივლისის 15-მდე. უფულობის გარდა ასეთ დაგვიანებას ანგარიშის გასწორებისას მე ვაწერ ზოგიერთ განყოფილებების დაუდევრობას და ზოგ მოსამსახურეების ორგულობას, მე მეტით ვერ ამიხსნია რით' საკვირველია: ბაქტერიოლოგიური რაზმი ადრე დაბრუნდა ფრონტიდან და განკარგულებაც იყო რომ პირველ იანვრიდან დაეშალათ კიდეც, მაგრამ ბევრი მოსამსახურე მაისის ბოლომდის ჯამაგირს ილებდა და მგონი შემდეგაც. ამ დროის განმავლობაში არაფერს აკეთებდნენ მხოლოდ ანგარიშის გასწორებას უცდიდნენ. ასევე თვეობით უცდიდნენ შემდეგ ჩამოსულებიც. უკანასკნელი დიდი ჯგუფები მოსამსახურეების თებერვალში აქ იყვნენ და ანგარიშის გასწორება ივლისამდე გრძელდებოდა. მთავარ კომიტეტის ისედაც დიდ შტატს მიემატა რაიონების კანცელარიების მოსამსახურენიც და ამ გვარად ერთი ბუხჰალტერის მაგივრად ხუთი მუშაობდა და საქმე კი ნელა კეთოებოდა. ეს იმის ბრალია, რომ მთავარ კომიტეტის სამართველოს ბევრი „ხაზეინი“ ჰყავდა და მრავალ განყოფილებად იყო დაყოფილი. ყველა განყოფილებების გამგეები მოვალედ რაცხდა თავს ყველა ანგარიშ გასასწორებელი მოსამსახურე და მისი ქაღალდები რამოდენიმე დღე გაეჩერებინა თავის განყოფილებაში. თვითონ „დოკლადებს“ ამზადებდნენ და აღმასრულებელ ბიუროს თავს აქნევინებდნენ სხდომებზე. მე ვიცი რომ წინად ოთხი თუ ხუთი დაბალ ხარისხოვანი ნასწავლი ჯარის კაცი უკეთესად აწარმოებდა არა ამაზე ნაკლებ საქმეებს.

მარტის 20-დან გამოცხადებული იყო როგორც სამხედრო დაწესებულება დაშლილად, მაგრამ მხოლოდ შტატი შეამცირეს ცოტათი, თორემ ის ისევ დარჩა აქამდის, ნელ-ნელა გადადიან მუნციპალურ სამუშაოზე, მთავარი კომიტეტის აღმასრულებელი ბიურო არის კავკასიის ყველა ქალაქების წარმომადგენლების არჩეული. არ ვიცი მომავლისთვის რას ფიქრობს ეს ბიურო და ან რომელ ქალაქების კავშირი იქნება შესაძლებელი.

მე კი მგონია, დღეს ქალაქთა კავშირი, როგორც მუნიციპალური დაწესებულება, საქართველოს ტერიტორიის გარედ მუშაობას ვერ შესძლებს. ხარჯი ამ დაწესებულების შესანახი ამავ ქალაქებს დააწვება, ე. ი. საქართველოს რესპუბლიკას და არა იმას ვისაც ეხლა ბიუროში თავის იურიდიულ დამტკიცებებით, კეთილ-მეგობრულ რჩევებით, ძველ არხივიდან ამონაწერ პროექტებით, სურს თავის საწველ ფურად აქციოს ეს დაწესებულება. უმეტესობა მოსამსახურეებისა •რიან რუსის ებრაელები, შემდეგ სომხები და ორიოდე ქართველები, ბიუროში კი ისეთი დამსახურებული პირებია როგორც ნ. ელიავა, რუსია, ბ. შარაშენიძე და სხვები. უმეტესობა დარჩენილ მოსამსახურეებისა მცირეოდენი კომიტეტის წევრებიც აშკარად არ თანაგვიგრძნობენ და ვინ იცის ფარულად ვინ როგორი დაუნდობელი მტერიც იყოს საქართველოს დამოუკიდებლობისა. მე ძალიან შესაძლებლად მიმაჩნია დღესვე დაიხუროს სამხედრო „სოგორი“, შესწყდეს ყოველგვარი ოპერაციები, შეგროვდეს ყველა წიგნებისაბუთები ერთს არქივში და ეს მანამდის სანამ ვინმე ანგარიშს მოითხოვდეს ან შესაძლებელი იქნებოდეს ანგარიშების დამთავრება. ბევრი ჰყავს ჩვენს ბიუროს მრჩევლები თუ როგორ გაჰყიდონ ის ცოტაოდენი ქონება, რომელიც ტფილისის საწყობებს ხვდა წილად და გადარჩა, რამეთუ მით დაიკმაყოფილონ თავი. ჩვენკი იმას ძალიან უნდა მოუაროთ, კიდევ დაგვჭირდება რუსეთის დატოვებულ მტრებთან საბრძოლველად და ეს ხალხი კი მაშინ არ გამოგვადგება. რაც სათქმელია დროზე ვთქვათ, რაც საქნელია დროზე გადავჭრათ თორემ მტრები შიგნით გვიძლიერდებიან და საშუალებას ჩვენვე ვაძლევთ. დროა ჩვენი საქმეები საკუთარი ძალებით ვაწარმოოთ და იმედი მაქვს შევსძლებთ ამას.

ს-ნე-პე-კაძე კუხელი.

## დასავ. საქ. ქართველ მოხელეთა შორის

კვირას, ივლისის, 25 საღამოს 7 საათზე კლასიკური გიმნაზიის დარბაზში დანიშნული იყო დასავ. საქ. მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებების მოხელეთა კავშირთა კავშირის საბჭოს პირველი საორგანიზაციო კრება, რომელსაც დაესწრო 50 დელეგატისაგან 30; ეს კრება იყო გაგრძელება ივლისის 11-ს კრებისა, ამიტომ კანონიერად იქნა ჩათვლილი, მით უმეტეს, რომ კრებაზე გამოცხადდა დელეგატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი; თავმჯდომარეობდი მიხ. გავაშელი. სანამ პრეზიდიუმის არჩევნებს შეუდგებოდნენ, გარჩეულ იქნა ორი საკითხი: პირველი შეეხებოდა მოხელეთათვის შაქრის გამოწერას შეღავათიან ფასებში, მეორე—გაზ. „ბორბაში“ მოთავსებულ ქართველ მოხელეთა წინააღმდეგ ვოიტინსკის წერილს. პირველი საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა, დაევალოს პრეზიდიუმს, ეხლავე აღძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს და გამოიწეროს მოხელეთათვის 2,000 ფუთი შაქარი შეღავათიან ფასებში, ე. ი. გირვანქა დაჯდეს არა თითო მანეთზე მეტი.“

მეორე საკითხმა გამოიწვია ხანგრძლივი კამათი, რომელიც შეეხებოდა პირველ ივლისს მოხელეთა კავშირთა კავშირის შეერთებულ სხდომაზე შემუშავებულ რეზოლიუციას, ყველა დაწესებულებებში მდგომარე წლის პირველ აგვისტოდან ნაციონალიზაციის გატარებას, რასაც „ბორბაში“ მოთავსებული წერილის ავტორი ვოიტინსკი საქართველოს. რესპუბლიკის ქართველ მოხელეთა წინააღმდეგ მიდის. ტექსტი რეზოლიუციისა შემდეგია:

„აღძრულ იქნას შუამდგომლობა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რომ მან დაუყონებლივ მიიღოს საჭირო ზომები, რათა რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებში გატარებულ იქნას ნაციონალიზაცია არა უგვიანეს მდგომარე წლის პირველი აგვისტოსი“.

**დამატებანი:**—ი) თუ დაწესებულებათა ნაციონალიზაცია მთავრობის მიერ პირველ აგვისტოსთვის არ განხორციელდა, იმ შემთხვევაში კავშირთა კავშირის საბჭომ მიიღოს ზომები ნაციონალიზაციის ფაქტიურად ცხოვრებაში გასატარებლად. ბ) ის მოსამსახურენი (განურჩევლად ეროვნებისა), რომელთაც ქართული ენა არ იციან, დღესვე განთავისუფლებულ იქნან სამსახურიდან ჯამაგირების შენახვით პირველ აგვისტომდი და ამგვარად დაწესებულებებში შეიქნას ისეთი პირობები, რომელშიაც შესაძლებელი იქნება ხელშეუშლელად სამზადისი ნაციონალიზაციის ცხოვრებაში გასატარებლად“. კავშირის მიერ რეზოლიუციის ასეთი ფორმით გამოტანას ორიოდე ორატორი ანარქიულ გამოსვლად სთვლიდა და მათ საჭიროდ მიაჩნდათ შესწორების შეტანა რეზოლიუციაში, მაგრამ უმრავლესობამ სამართლიანად იცნო ასეთი რეზოლიუციის გამოტანა და მისი ფორმაც, ამიტომ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „დაევალოს პრეზიდიუმს, გასცეს შესაფერისი საზოგადო პასუხი წერილის ავტორს და გამოუცხადოს აგრეთვე პროტესტი“.

დასასრულ მოხდა ფარული კენჭით პრეზიდიუმის არჩევნები, რომლის შედეგი ასეთია.

ა) **პრეზიდიუმის თავმჯდომარედ**—მ. გავაშელი, ამხანაგებად ივ. ფხაკაძე და გიორგი ჰუმბურიძე. ბ) **მდივნად**—მ. კუჭავა, ამხანაგებად ს. გერსამია და რაჟ. კანდელაკი. გ) **ხაზინადრად**—სევ. შეძმარიაშვილი მის ამხანაგად ვ. თუთბერიძე.

დ) **ნაციონალიზაციის კომისიაში:** ვლ. ნაცვლიშვილი, მელიქ. კანდელაკი, ვარ. იმნაძე, მიხ. გავაშელი და გიორგი ჰუმბურიძე.

ე) **სასურსათო კომისიაში:** ა. ჩხეიძე, ივ. ფხაკაძე და მ. ჩეჩელაშვილი.

ვ) **სარევიზიო კომისიაში:** ა. ჩხეიძე, თაყაიშვილი, ნიშნიანიძე, მ. კანდელაკი, ნ. ხუნდაძის ასული და ქ აბესაძის ასული.

ღამის 12 საათზე კრება დამთავრდა.

ლადო ბზვანელი.

## ამხანაგური შენიშვნა *)

საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრება თანდათან სდგება. ნორმალურ კალაპოტში არის კოალიციონური სოციალისტური სამინისტრო, რომელსაც მიზნად აქვს გაატაროს ცხოვრებაში სოციალური რეფორმები, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება გარემოების და მომენტის მიხედვით. დიდი შრომა და ჯაფა სჭირია ჩვენი რესპუბლიკის მესვეურთ, რომ მძიმედ წამოჭრილი ეკონომიური საკითხები ასეთ რთულ პირობებში გადაჭრას მშრომელი დემოკრატიის სასარგებლოდ და ამით უზრუნველი ჰყოს როგორც რევოლიუციის გამარჯვება, ისე რესპუბლიკის დამოუკიდებელი არსებობა.

ერთი ასეთი კონკრეტული და მშრომელ ხალხთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხია აგრარული საკითხი. რევოლიუციის განმტკიცება ამ საკითხის ლოიალურ გადაჭრაზეა დამყარებული. ეს ცხადია და პრესაც ამას ჰქადაგებს. ქალაქის მუშამ პროლეტარმა მიიღო მეტი ხელ ფასი და 8 საათის სამუშაო დღე; სოფლის მუშას-გლეხისთვის ამისი მსგავსი არაფერი მიუცია თავისუფლებას. მასის ფსიქოლოგია კი ისეთია, რომ ის (მასსა) იმდენად იბრძოლებს რევოლიუციისათვის, რამდენად ეს უკანასკნელი მისთვის ხელსაყრელი და სასარგებლოა.

ამ უკანასკნელ ხანებში სოციალ-დემოკრატიული პრესა „ბორბა“, „ერთობა“ და ქუთაისური „სოციალ-დემოკრატი“ ერთხმად ლაპარაკობენ, რომ ჩამორთმეული მიწები მუნიციპალიტეტმა ფასით და ინდივიდუალური საკუთრებად უნდა გადასცეს გლეხებსო. რამდენად დემოკრატიული და სასარგებლო იქნება „ბრწყინვალე მომავლისათვის“ ასეთი ნაბიჯი, ახლავე დავინახავთ, თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს.

საფრანგეთის 1789 წლის რევოლიუციის დროს ნაციონალურმა კრებამ ემიგრანტ მემამულეების, საეკლესიო და სამონასტრო მიწები ფასად და კერძო საკუთრებად დაურიგა გლეხებს. ამან საშინელი შედეგი გამოიწვია: მე XIX საუკუნეში შევიდა სოციალურ-კონსერვატიული გლეხობა, ფანატიკურად გატაცებული და ერთგული კერძო საკუთრებისა. მთელი მე-XIX საუკუნის განმავლობაში საფრანგეთის გლეხობა სრულიად ერთსულოვანი იყო პოლიტიკაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათ საკუთრებას რამე ემუქრებოდა. გლეხებმა აითვალისწინეს მუშა-პროლეტარები და აითვალისწინეს ყველა, ვისაც კი შენიშნავდნენ კომუნისტობას და სოციალისტობას (გაიხსენეთ კომუნისტი ბაბეფის ბედი). ისინი ისე გაიტაცა საკუთრების იდეამ, რომ სხვა დანარჩენი—ფორმა გამგეობისა, დინასტია, რესპუბლიკა, მონარქია, მმართველი პირები მათთვის ერთი იყო, ამით აიხსნება ის, რომ გლეხობა დიდი ენტუზიაზმით შეეგება ნაპოლეონის დიქტატურას, რადგანაც იცოდა, რომ მეფე უზრუნველყოფდა კერძო საკუთრებას. ეს ისტორიული ფაქტია; ფაქტია ისიც, რომ მიწის დაუფლება და კერძო საკუთრებად გამოცხადება იყო ფაქტორი ადამიანისაგან ადამიანის დაჩაგვრის და დამონავებისა.

ასეთია ინდივიდუალური საკუთრების ისტორიული მისია. მისი ნამდვილი ფსიქოლოგია. ამიტომ ასეთი ინსტიტუტის გამტკიცება მიწაზე ჩვენში იქნება დიდი შეცდომა მომავლისათვის, ასეთი ნაბიჯი იქნება უაღრესად ანტი-დემოკრატიული და ანტი-რევოლიუციონური და ჩვენ, სოფლის მუშები, ამ საკითხში მხარს მას არ დაუჭერთ.

საკითხის ასე გადაწყვეტა ახალ იარაღად გამოადგება კონტრ-რევოლიუციონურ აგიტაციისთვის ჩვენი ქვეყნის რენეგატებს! მართალია, საქართველო ფინანსიურ კრიზისს განიცდის, მაგრამ არსებობს საბედნიეროდ სხვა გამოსავალი გზა: შინაური სესხი. მე, როგორც სოფლის მუშას, კარგად ვიცნობ გლეხებს: თუ მას მიწა მიეცემა უსასყიდლოდ და უიჯაროდ, ის არამც თუ მხარს დაუჭერს მთავრობის და ასესხებს ფულს, არამედ შეეცდება მთელი თავისი ფიზიკური და მორალური ენერგიით საქართველოს რესპუბლიკის გამაგრებას და რევოლიუციის ბრწყინვალედ დაგვირგვინებას.

გ. მუშიშვილი.

*) რედაქცია სიამოვნებით დაუთმობს ადგილს წერილებს მიწის საკითხზე. განსაკუთრებით საჭიროა პროვინციაში მომუშავეთა აზრი. რედ.

გამომცემელი
**სამსონ ფირცხალავა**
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.


**ექიმი** დ. **შარაშანიძე** იღებს დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს. საღამოთი 5—8 საათამდე ...ვილოვის ქ. № 7.

**ექიმი** [illegible] განაახლა მიღება [illegible] შარდე ... (სალვარსანი 606—914) და კანის ავადმყოფთ დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

**ექიმი** ვ. **მუსხელიშვილი** იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

**ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი** განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

**ექიმი** ნ. ი. **მახვილაძე** იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კუჭ... ბით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

**ექიმი** ა. **ტყეშელაშვილი** ლებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

**ექიმი** დ. ვ. **ჯავახიშვილი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქ. № 41. ტელეფ. 14—09

**ექიმი** პავლე **არდაზიანი** იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და ... მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი.

**ექიმი** შ. ა. **მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა სნეულ... ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6... დე, მიხეილის პროსპექტი № ...

**კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით**
ავადმყოფების მიღება ყოველ დ... 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტ...

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ბურიაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე ... შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვის აფთიაქის გვერდით.

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დოხნინისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (...ლოს კინო-თეატრის მახლობლად). ... და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 6..

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
**„606“ და „914“ 11—12 ს.**
**ბ. ა. ნავასარდიანი**—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.)
**გ. ი. მაშნერი**: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
**ზ. გ. აგასაროვი**: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**ავეტისიანი**—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
**მ. მ. ბენიამოვიჩი**: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
**ხ. გ. ავეტისიანი**—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
**ი. ი. ტერ-გრიგორიანცი**: 1—2 ს. შინაგანი.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ა. ნ. ისაკიანი**: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ა. ნავასარდიანი**. 1019

**ექიმი კბილისა ვ. ი. ჭიჭინაძის კაბინეთი** ავადმყოფებს ღებულობენ კბილის ექიმები: ვ. ... ჭიჭინაძე, ვ. დ. მირიანაშვილი და ს. ი. ჩარკვიანი 9—2 და 5—7 მდე. მიხეილის პროსპ. 78. 591

**ექიმი** ი. დ. **ჯაფარიძე** შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს საღამოს 5—7 ს მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—49. 1153

**ექიმი** ვ. მ. **მუხაძე** კოჯორში გაემგზავრა და აქ ავადმყოფების მიღება 1 აგვისტომდე შეჩერებულია 1030

**ექიმი** ე. ლ. **შალამბერიძე** იღებს ხაბებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
**„სახალხო საქმე“**
**ღირს:** თვით 8 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 50 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 50 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.